პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

“აღმზრდელი”

პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: აღმზრდელი / Educator

პროგრამის დონე: V დონე

დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education

პროგრამის ხანგრძლივობა: 84 კვირა

პროგრამის დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

სასწავლო კრედიტების რაოდენობა: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 116 კრედიტი

პროგრამის მიზანი: აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს შექმნა და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა
3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
4. წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - “აღმზრდელი” მოდულები

ზოგადი მოდულები

1. ინფორმაციული წიგნიერების
2. მეწარმეობა
3. უცხო ენა (ინგლისური)

პროფესიული მოდულები

1. გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება
2. პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება
3. შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში
4. პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
5. ბავშვის განვითარების თავისებურებები
6. ადრეული განათლების კურიკულუმები
7. დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაშ
8. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
9. ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
10. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
11. თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
12. საგანმანათლებლო გარემო
13. ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
14. ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია
15. კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
17. წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
18. სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
19. პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
20. მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
21. კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
22. კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
23. ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
24. მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში

პროგრამის განხორციელების ადგილი: სსიპ კოლეჯი “ქართლის’’ სასწავლო აუდიტორიები და კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება“ საბავშვო ბაღები